

შპს „პალა ჯგუფი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

კონსოლიდირებული მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	1
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	3
1. კორპორატიული ინფორმაცია	4
2. მომზადების საფუძველი	4
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	5
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	8
5. შემოსავალი რეალზაციიდან	8
6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	8
7. ფინანსური ხარჯი	8
8. ძირითადი საშუალებები	9
9. გუდვილი	10
10. სასაქონლო მატერიალური მარაგები	10
11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10
12. საგადასახადო აქტივები	10
13. გაცემული სესხები	11
14. ფული და ფულის ექვივალენტები	11
15. კაპიტალი	11
16. გრძელვადიანი ვალდებულებები	11
17. მიღებული ავანსები	11
18. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11

შპს "პალა ჯგუფი"

კონსოლიდირებული მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის


თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

(არააუდიტირებული)	შენიშვნები	2020	2019
შემოსავალი რეალიზაციიდან	5	422,013	2,964,429
თვითღირებულება	5	(449,728)	(2,726,552)
საერთო მოგება/(ზარალი)		(27,715)	237,877
სხვა შემოსავალი		18,272	136,755
რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯი		(3,716)	(3,474)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	6	(662,488)	(469,662)
სხვა საოპერაციო ხარჯი		-	(54,435)
საოპერაციო ზარალი		(675,647)	(152,939)
ფინანსური შემოსავალი		31,265	31,956
ფინანსური ხარჯი	7	(38,244)	(38,841)
საკურსო მოგება/(ზარალი)		23,523	(340)
ზარალი დაბეგვრამდე		(659,103)	(160,164)
მოგების გადასახადი		(31,721)	(33,081)
წმინდა მზარალი		(690,824)	(193,245)

წლის სრული შემოსავალი მისაკუთვნილები:

სათაო საწარმოს მესაკუთრეებზე	(589,323)	(95,078)
არამაკონტროლებელი წილის მფლობელებზე	(101,501)	(98,167)
	(690,824)	(193,245)

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით
2021 წლის 30 სექტემბერს:


გიორგი მაღრაძე
დირექტორი

შპს “პალა ჯგუფი”

კონსოლიდირებული მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

(არაუდიტირებული)	შენიშვნები	2020	2019
შემოსავალი რეალიზაციიდან	5	422,013	2,964,429
თვითღირებულება	5	(449,728)	(2,726,552)
საერთო მოგება/(ზარალი)		(27,715)	237,877
სხვა შემოსავალი		18,272	136,755
რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯი		(3,716)	(3,474)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	6	(662,488)	(469,662)
სხვა საოპერაციო ხარჯი		-	(54,435)
საოპერაციო ზარალი		(675,647)	(152,939)
ფინანსური შემოსავალი		31,265	31,956
ფინანსური ხარჯი	7	(38,244)	(38,841)
საკუროსო მოგება/(ზარალი)		23,523	(340)
ზარალი დაბეგვრამდე		(659,103)	(160,164)
მოგების გადასახადი		(31,721)	(33,081)
წმინდა მზარალი		(690,824)	(193,245)

წლის სრული შემოსავალი მისაკუთვნებელი:

სათაო საწარმოს მესაკუთრეებზე	(589,323)	(95,078)
არამაკონტროლებელი წილის მფლობელებზე	(101,501)	(98,167)
	(690,824)	(193,245)

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით
2021 წლის 30 სექტემბერს:

გიორგი მაღრაძე
დირექტორი

შპს “პალა ჯგუფი”

კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

(არააუდიტირებული)	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020 (არააუდიტირებული)	31 დეკემბერი 2019 (არააუდიტირებული)
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები, წმინდა	8	999,752	1,082,457
გუდვილი	9	942,938	124,602
არამატერიალური აქტივები		2,640	3,152
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,945,330	1,210,211
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო მატერიალური მარაგები	10	4,605,740	2,526,099
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	404,076	264,944
საგადასახადო აქტივი	12	1,186,099	422,171
გაცემული ავანსები	11	345,190	271,823
გაცემული სესხები	13	341,069	5,177
ფული და ფულის ეკვივალენტები	14	380,220	354,904
სულ მიმდინარე აქტივები		7,262,394	3,845,118
სულ აქტივები		9,207,724	5,055,329
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		1,000	413,383
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)		(585,505)	658,902
კომპანიის მფლობელებზე მისაკუთვნილები კაპიტალი		(584,505)	1,072,285
არამაკონტროლებელი წილი		(174,508)	(103,087)
სულ კაპიტალი		(759,013)	969,198
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ვალდებულება ფინანსური იჯარიდან		-	129,525
ვალდებულებები მიწის შეძენიდან	16	681,808	681,808
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		681,808	811,333
მიმდინარე ვალდებულებები			
გადასახდელი დივიდენდი		8,040	165,948
მოკლევადიანი სესხები		-	9,390
მიღებული ავანსები	17	7,544,637	3,029,143
სავაჭრო ვალდებულებები	18	1,732,252	70,317
სულ მიმდინარე ვალდებულებები		9,284,929	3,274,798
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		9,207,724	5,055,329

შპს “პალა ჯგუფი”

კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

(არააუდიტირებული)	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ მფლობელის კაპიტალი	არამაკონტორლებელი წილი	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი 2018	1,000	624,079	625,079	(9,013)	616,066
გადახდილი დივიდენდი	-	(192,193)	(192,193)	-	(192,193)
მფლობელთან განხორციელებული ოპერაციები	-	607,241	607,241	-	607,241
საწესდებო კაპიტალის ზრდა	412,383	-	412,383	-	412,383
ცვლილებები წილის შეძენის გამო	-	(285,147)	(285,147)	4,093	(281,054)
მიმდინარე წლის მოგება	-	(95,078)	(95,078)	(98,167)	(193,245)
31 დეკემბერი 2019	413,383	658,902	1,072,285	(103,087)	969,198
მიმდინარე წლის მოგება	-	(589,323)	(589,323)	(101,501)	(690,824)
გადახდილი დივიდენდი	-	(179,723)	(179,723)	-	(179,723)
ცვლილებები წილის შეძენის გამო	-	(475,361)	(475,361)	30,080	(445,281)
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(412,383)	-	(412,383)	-	(412,383)
31 დეკემბერი 2020	1,000	(585,505)	(584,505)	(174,508)	(759,013)

4-11 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

1. კორპორატიული ინფორმაცია

შპს პალა ჯგუფი (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. იგი დაარსდა 2014 წლის 14 სექტემბერს და არსებობს როგორც დამოუკიდებელი ერთეული. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 400126902.

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ბინების მშენებლობა და რეალიზაცია.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისის, გლდან-ნაძალადევის რაიონი, ზაპესი, კასკადის ქ. №1ა

კომპანიის მეწილეები: ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის ისევე როგორც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის 80%-იან წილს ფლობდა ფ/პ გიორგი მალრაძე (01010002996), ხოლო 20%-იან წილს ფლობდა ფ/პ მალხაზ მალრაძე (01010004394).

კომპანია 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ფლობდა 30%-იან წილს შპს პალაში, ხოლო 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 80%-იან წილს შპს პალაში.

2. მომზადების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია და დამრგვალებულია ერთეულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ჯგუფის პირველი წლიური ფინანსური ანგარიშგებაა, რომელიც შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ მესამე კატეგორიის კომპანიებისთვის დაშვებული მოდიფიკაციის გათვალისწინებით.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, ჯგუფი ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით აშუადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

კონსოლიდაციის საფუძველი.

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2020 წლის 31 დეკემბრის და კონსოლიდირებულ საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

შვილობილი კომპანიები. შვილობილი საწარმო არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს ჯგუფი. კონტროლი ნიშნავს სხვა საწარმოს ფინანსური და სამეურნეო პოლიტიკის მართვის უფლებამოსილებას, მისი საქმიანობიდან

ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით. იგულისხმება, რომ კონტროლი არსებობს, როდესაც მშობელი საწარმო, პირდაპირ, ან არაპირდაპირ, შვილობილი საწარმოების მეშვეობით, ფლობს საწარმოს ხმის უფლებების ნახევარზე მეტს. გამონაკლის შემთხვევებში, შესაძლებელია ამ დაშვების უარყოფა, როდესაც აშკარად შეიძლება იმის დემონსტრირება, რომ ასეთი საკუთრება არ გულისხმობს კონტროლს.

ჯგუფი გუდვილის შეფასებას ახდენს შემენის თარიღისთვის, როგორც:

- განხორციელებული გადახდების სამართლიან ღირებულებას; დამატებული
- არამაკონტროლებელი წილის აღიარებული თანხა შესაძენ კომპანიაში;

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

- თუ საწარმოს გაერთიანება ხდება ეტაპობრივად, მანამდე არსებული მონაწილეობის წილი შესაძენ კომპანიაში; გამოკლებული
- იდენტიფიცირებული შემენილი აქტივებისა და ნაკისრი ვალდებულებების წმინდა აღიარებული თანხა (ძირითადად, სამართლიანი ღირებულება).

თუ ნამატი უარყოფითია, ხელსაყრელი შესყიდვიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება უშუალოდ მოგება-ზარალში. გადაცემული კომპენსაცია არ მოიცავს თანხას, მანამდე არსებულ ურთიერთობის დარეგულირებისათვის. ასეთი თანხები ზოგადად აღიარდება მოგება-ზარალში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის კომპანიის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2020 და 2019 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2020 წლის 31 დეკემბერი	3.2766	4.0233
2019 წლის 31 დეკემბერი	2.8677	3.2095

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ბანკებში არსებულ მიმდინარე ანგარიშზე არსებულ ნაშთს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები. სავაჭრო დებიტორული დავალიანება გამოხატულია რეალიზაციის თანხით, კომპანიას არ გააჩნია საექვო ვალები. საექვო და უიმედო ვალების რეზერვი არ არსებობს კომპანიაში, ვინაიდან არასდროს არსებულა ობიექტური საფუძველი, რომ კომპანია ვერ შეძლებდა მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას.

ძირითადი საშუალებები.

- **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.
- **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო რეზერვების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

• **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობა ნაგებობები	10-15
მანქანა-დანადგარები	3-5
სატრანსპორტო საშუალებები	7-10
საოფისე და სხვა ინვენტარი	3-7

არამატერიალური აქტივები.

• **აღიარება და შეფასება.** არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

მარაგები. კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველაწარმოებულ და ნახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდგომარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია მომავალი გადახდების დისკონტირებული ღირებულებით, შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადასახადები. 2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება, ხოლო განაწილებული იბეგრება 15%-იანი მოგების გადასახადის განაკვეთით, ნაცვლად წინა პერიოდებისა, როდესაც 15%-იანი მოგების გადასახადით იბეგრებოდა დაგროვილი მოგება განაწილების მიუხედავად. ცვლილების შედეგად, აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. შესაბამისად კომპანია აღარ აღიარებს მიმდინარე და გადავადებულ მოგების გადასახადს და საგადასახადო ხარჯი დაკავშირებული მოგების განაწილებასთან აღიარდება მიმდინარე პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების თარიღის შესაბამისად.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

საპენსიო შენატანები. 2018 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო რეფორმის მიხედვით, სისტემაში ჩართული დასაქმებული პირის მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელდებოდა 2%-ის გადახდა, აღნიშნული ნაწილი იფარება თანამშრომლის ხელფასიდან და კომპანიას ეს ნაწილი დამატებით ხარჯად არ ეკისრება. აღნიშნულის

3. მნიშვნელოვანი საღრიცხო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

პარალელურად დამსაქმებელი თავის მხრივ, დამატებით 2%-ს რიცხავს, რომელიც ხარჯად აღიარდება ხელფასის ხარჯის დარიცხვასთან ერთად და წარმოდგენილია ადმინისტრაციულ ხარჯებში.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო

კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

შემოსავლების აღიარება. შემოსავლები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც შემოსავლის ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყონებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყინულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
 - ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
 - მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
 - არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ
- სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

- **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.** აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.
- **საგადასახადო კანონმდებლობა.** მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდებიან. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

5. შემოსავალი რეალიზაციიდან

ბინების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი შეადგენს 422,013 ლარს (2019: 2,964,429 ლარი), რომლის თვითღირებულება მოიცავს 449,728 ლარს (2019: 2,726,552 ლარი).

6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

	2020	2019
შრომის ანაზღაურება	(441,930)	(302,174)
საკონსულტაციო ხარჯები	(45,637)	(60,605)
კომუნალური	(16,659)	(1,279)
ცვეთა და ამორტიზაცია	(83,406)	(27,315)
სამეურნეო ხარჯი	(7,610)	(11,841)
იჯარის ხარჯი	(13,650)	(21,899)
რეკლამის ხარჯი	(3,297)	(4,176)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	(50,299)	(40,373)
სულ	(662,488)	(469,662)

7. ფინანსური ხარჯი

აღნიშნული ხარჯი სრულად უკავშირდება ლიზინგისა და სესხის საპროცენტო ხარჯებს.

შპს “პალა ჯგუფი”

კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

8. ძირითადი საშუალებები

	მიწა	საოფისე და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	მანქანა- დანადგარები	სხვა	სულ
ისტორიული ღირებულება						
31 დეკემბერი 2019	681,808	55,010	340,331	30,711	27,083	1,134,943
შემოსვლა წლის განმავლობაში	-	9,381	3,686	8,591	-	21,658
გასვლა	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2020	681,808	64,391	344,017	39,302	27,083	1,156,601
-	-	-	-	-	-	-
დაგროვილი ცვეთა						
31 დეკემბერი, 2019	-	(11,421)	(33,586)	(5,375)	(2,104)	(52,486)
წლის დარიცხული ცვეთა	-	(17,959)	(68,128)	(12,861)	(5,415)	(104,363)
გასვლები	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2020	-	(29,380)	(101,714)	(18,236)	(7,519)	(156,849)
ნარჩენი ღირებულება						
31 დეკემბერი, 2019	681,808	43,589	306,745	25,336	24,979	1,082,457
31 დეკემბერი 2020	681,808	35,011	242,303	21,066	19,564	999,752

9. გუდვილი

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გუდვილი მოიცავს შვილობილი კომპანიის წილის გამოსყიდვისგან მიღებულ შედეგს.

10. სასაქონლო მატერიალური მარაგები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
საქონელი	389,107	303,514
ნედლეული და მასალები	1,915,812	999,809
დაუმთავრებელი მშენებლობა	2,300,821	1,222,776
სხვა	-	-
სულ	4,605,740	2,526,099

11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სავაჭრო მოთხოვნები	385,528	263,627
სხვა მოთხოვნები	18,548	1,317
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	404,076	264,944
გადახდილი ავანსები	345,190	271,823
სულ	749,266	536,767

12. საგადასახადო აქტივები

2016 წლის 1 იანვრიდან, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების შესაბამისად ყველა საგადასახადო ვალდებულება ირიცხება ერთიან სახაზინო ანგარიშზე/კოდზე, შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში, საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ნეტო თანხით.

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც შემოღებულია ძალაში შესვლის განსხვავებული თარიღი. ახალი ნორმატიული აქტის თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგებას, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება აქვთ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

შპს “პალა ჯგუფი”

კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

13. გაცემული სესხები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
დაკავშირებულ მხარეზე გაცემული სესხი	322,452	500
მისაღები პროცენტი	18,617	4,677
სულ	341,069	5,177

14. ფული და ფულის ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	10,060	124,073
ფული საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში	44,502	16,758
უცხოური ვალუტა რეზიდენტი ბანკში	325,658	214,073
სულ	380,220	354,904

15. კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი მოიცავს დამფუძნებლების მიერ განხორციელებულ შენატანს. საანგარიშგებო პერიოდში საწესდებო კაპიტალში ცვლილებები არ ყოფილა, 2019 წელს კი შემცირდა 412,383 ლარით.

საანგარიშგებო პერიოდში დამფუძნებლებზე გაცემული დივიდენდი შეადგენს 179,724 ლარს (2019: 192,193 ლარი).

16. გრძელვადიანი ვალდებულებები

გრძელვადიანი ვალდებულებების ნაშთი მოიცავს მიწის შეძენასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

17. მიღებული ავანსები

მიღებული ავანსების ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მოიცავდა კლიენტებისგან მიღებულ ავანსებს და შეადგენდა 7,544,637 ლარს (2019: 3,029,143 ლარს).

18. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან	1,729,410	68,938
გადასახდელი ხელფასები	2,332	1,162
სხვა	510	217
სულ	1,732,252	70,317